ოქმი:**ო05. 3723269001**

თარიღი:**26/09/2023**

ოქმი №6
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2023 წელი, 22 სექტემბერი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: პაატა კიღურაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ხ. ცერცვაძე, ნ. ქარჩავა, გ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, ე. გორდელაძე, ქ. ვასაძე, ბ. კილაძე, გ. კილაძე, ნ. მახარაძე, ნ. ქარჩავა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

თანამომხსენებელი: თ. მურვანიძე

სხდომის თავმჯდომარემ, პ. კიღურაძემ კომისიის წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საკრებულოში წარმოდგენილი განკარგულების პროექტი : „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, ხოლო თანამომხსენებელმა თ. მურვანიძემ ვრცლად ისაუბრა სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესზე, მის მნიშვნელობასა და შესრულების ღონისძიებებზე, რომლებიც უშუალოდ მუნიციპალიტეტმა უნდა განახორციელოს. აღნიშნული პროექტი დაიწყო შესაბამისი სამინისტროებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი საქმიანობით. გეგმა მოიცავს 2023-2030 წლებს, შემდეგ განიხილა გეგმის ძირითადი მიმართულებები, გეგმა მოიცავს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ შენობებს, ტრანსპორტს და გარე განათებას, ამ სეგმენტში მოხმარებულ ენერგიას, საწვავს და ა.შ. გეგმა შემუშავებულია 2019 წლის მონაცემების საფუძველზე, ითვალისწინებს პროგნოზს, რომელიც მიღწეული უნდა იქნას 2030 წლისათვის. ძირითადი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა -პასუხის რეჟიმში, თანამომხსენებელმა თ. მურვანიძემ გააკეთა კონკრეტული განმარტებები და უპასუხა დასმულ შეკითხვებს, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა მუდმივმოქმედ კომისიათა ერთობლივ სხდომაზე.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი